# სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 5 (4544) ● 8 მარტი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


# დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!

სიკეთე და სიდიადე თანადგომისა

## ვამაყობთ შენით, უმცროსო კოლეგავ და მეგობარო!



ცია ბორცვაძე

**სადღეისოდ** მეტად აქტუალური და საინტერესო წერილი მივიღეთ. მისი ავტორია თბილისის 140-ე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქართული ენა-ლიტერატურის ჩინებული მასწავლებელი, გემოვნებიანი პოეტი და ჟურნალისტი **ცია ბორცვაძე**.

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის გულთბილი, ნდობა-პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა რომ უნდა იყოს, ყველამ იცის (ვინც არ იცის, ვალდებულია იცოდეს). ასეთივე გრძნობა-განწყობა უნდა სუფევდეს პედაგოგიურ კოლექტივში, თავად კოლეგებს შორის.

ამგვარი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, მასწავლებელთა კოლეგიალობის განმტკიცებას დიდად უწყობენ ხელს სკოლის გამოცდილი დირექტორი **ნინო ასანიძე**, მისი მოადგილეები: **თამარ ნაკაშიძე** და **დალი კაპანაძე**. გამოცდილი კოლეგები ზრუნავენ ახალბედების დაკვალიანება-დაოსტატებაზე.

თანამშრომლებს შორის როგორი თანაცხოვრება იქცა ტრადიციად, სწორედ ამაზე მოგვითხრობს **ცია ბორცვაძის** წერილი. კომენტარებს სჯობს პირველწყაროს გავეცნოთ.

***

**ამ წერილის** დაწერა გადამაწყვეტინაერთმა გარემოებამ: ამას წინათ, საახალწლოდ, გაზეთ **„სახალხო განათლება+“-ის** ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი 140-ე საჯარო სკოლაზე, სათაურით **„ხელხვავიანი ხვდებიან“**. სადაც მოწინავე ახალგაზრდა პედაგოგებს გულთბილად შევეხმიანე. ერთი პედაგოგი გამომრჩენია. ვინანე და გადავწყვიტე, დამეწერა სტატია ამ ახალბედა პედაგოგზე, რომელიც გახლავთ მათემატიკის მოწინავე მასწავლებელი **ნათია ბეჭვაია**. მან სკოლაში მოსვლისთანავე დაიპყრო, როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგთა გული, დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

**ნათია ბეჭვაია** აფხაზეთიდან არის დევნილი. დამთავრებული აქვს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის მათემატიკისა და სტატისტიკის საბაკალავრო პროგრამა, დედაუნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა. ნათია ამჟამად **უფროსი მასწავლებელია**, ამავე დროს სკოლის პროფესიული განვითარების **ფასილიტატორი და სამეურვეო საბჭოს წევრი.**

პედაგოგებს შორის მე თითქმის ყველაზე ხანდაზმული გახლავართ, ხოლო **ნათია ბეჭვაია** – სრულიად ახალგაზრდა. მიუხედავად ამისა, მას მივიჩნევ ჩემს უმცროს მეგობრად და კოლეგად.

აი, როგორ გავიცანით ერთმანეთი: მეათეკლასელები შემოხვეოდნენ სრულიად ახალბედა, ნათელი სახის, სათვალებიან, მომხიბვლელ ქალიშვილს, რომელიც სხვაკლასელი მეგონა. ბავშვებს გაეღიმათ და გამაცნეს: **ნათია ბეჭვაია** ჩვენი მათემატიკის ახალი მასწავლებელი არისო.

ამ დღიდან დაიწყო ჩვენი კოლეგიალური ურთიერთობა. ვმსჯელობდით აღზრდის საერთო პრობლემებზე, ძნელად აღსაზრდელ მოზარდთა და



ნათია ბეჭვაია

ინკლუზიურ მოსწავლეებთან მიდგომის პრინციპებზე.

მე ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი გახლავართ. რაც უფრო შევდიოდით ნაცნობობის ეშხში, ნათიას შევატყვე მხატვრული ლიტერატურის სიყვარული. მათემატიკასაც ხომ ახლავს თავისებური პოეზია – ციფრებისა და პროპორციების ენა-სიმფონია. აქაც გაიდო ჩვენს შორის კოლეგიალობის ხიდი.

ერთ დღეს „ვეფხისტყაოსნის“ გაკვეთილზე რომ მივადექით პოეტურად შედგენილ ამოცანას: **„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია, მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“,** მოსწავლეები დაინტერესდნენ: რამდენი ნადირი მოკლა მეფემ, რამდენი ავთანდილმა? მარტივი განტოლების შედგენა დაგვჭირდა. მალე დაფაზე ნათიას განტოლება ვიხილეთ, რომლის მიხედვითაც მეფეს მოუკლავს **90**, ხოლო ავთანდილს – **110** მხეცი.

ჩვენს ურთიერთობაში მეგობრობის, თანადგომის, თანამშრომლობის ეპიზოდებს ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ერთი რამ არ გავიხსენო, არ შემიძლია.

საკუთარ ლექსებს ხშირად ვუკითხავ ნათიას. ერთი ასეთი სტროფი გავაცანი: ***„პოეზიის ტაძარი ლექსით არის ნაგები, ყველა შენ მოგიძღვენი წრფელ სტრიქონთა ნალები!“***

– ვის მიუძღვენით, ქალბატონო ცია, **„წრფელ სტრიქონთა ნალები?“** თუ საიდუმლო არ არის, მითხარით! – მთხოვა ნათიამ.

– სამაჩაბლოს და ჩემს დაჩაგრულ თანამოძმეთ, მშობლიური კუთხიდან დევნილ ხალხს... და ვაგრძელებ კითხვას: ***„როგორ მინდა სამაჩაბლოვ, გული გადაგიშალო, გამოგიტყდე სიყვარულში, ჩემი არ დავიშალო. აგაშორო ავი მზერა, აგარიდო ავდარი, აღარ გყავდეს დევნილი და შვილი დასაკარგავი“***.

აქაც საერთო ინტერესი გამოიკვეთა, რადგან ნათიაც ხომ **დევნილთა** ოჯახიდანაა – **აფხაზეთიდან**.

გალაკტიონის **„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“** და შოთა ნიშნიანიძის **„აფხაზური კანტატა“** ზეპირად იცის ნათიამ.

სემესტრის ბოლოს დამჭირდა ნათიას დახმარება: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების რეიტინგული ქულების გამოთვლაში მიშველა და დავგეგმეთ, ვიზრუნოთ II სემესტრში მის ამაღლებაზე.

გულწრფელად ვამაყობ, რომ სკოლაში გვყავს ასეთი ახალგაზრდა პედაგოგი – განათლებული, ნიჭიერი, სამართლიანი, ზრდილობიანი, მეგობრული, კომუნიკაბელური, რომელსაც შეიძლება თამამად ვანდოთ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბედი. **იმრავლოს მათმა რიგებმა!**

**ცია ბორცვაძე**

**რედაქტორის მინაწერი: ყველა პედაგოგიურ კოლექტივს გადასდებოდეს კოლეგიალობის ის განწყობა და მადლი, რომელიც სუფევს თბილისის 140-ე საჯარო სკოლაში. ღვაწლმოსილ პედაგოგ ცია ბორცვაძეს, ახალგაზრდა ნათია ბეჭვაიას, ამ სკოლის ყველა მასწავლებელსა და თანამშრომელს ვულოცავთ დედის დღეს, რვა მარტს, ოჯახსა და სკოლაში ბედნიერებას ვუსურვებთ!**

## იოსებ ნონეშვილი



### დედა

დედავ – სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ – ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“.
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.

შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით.
რომ სიარული გესწავლებინა,
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.

მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბავშვივით.

თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.

დედავ – სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ – ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.



**მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!**

თბილისის 92-ე საჯარო სკოლის ახალი მიღწევები

# როცა ნოვატორი დირექტორი და პედაგოგები მოღვაწეობენ



**სახელოვანი** 92-ე საჯარო სკოლა, რომელიც მდებარეობს ვაზისუბნის I კვარტალში, მუდამ გამოირჩეოდა სწავლების მაღალი ხარისხით, საქმიანი, მშრომელი, მეგობრული და შემოქმედი პედკოლექტივით, ნიჭიერი მოსწავლეებით.

– ისეთი ძლიერი მასწავლებლები გვყავს, ბევრი სკოლა ინატრებდა, – ამაყობს სკოლის დირექტორი **მიხეილ ჩიქოვანი**. იგი გახლავთ უაღრესად ერუდირებული, გულისხმიერი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პედაგოგი. ბატონმა მიხეილმა 1995 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის დედაუნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2008 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მინიჭებული აქვს ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 1998-2008 წლებში მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2014 წლიდან წარმატებით უძღვება 92-ე საჯარო სკოლას.

სკოლაში დასაქმებული 42 პედაგოგიდან, 25 სერტიფიცირებულია, ქიმიის მასწავლებელს კი მინიჭებული აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მათემატიკის ენაზე რომ ვთქვათ, ძლიერი კადრები პირდაპირპროპორციულია ხარისხიანი სწავლებისა. ეს ასეც არის.

აქტიურად ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც უნარიანად უძღვებიან: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას – **გულნაზ ფირცხალავა**, საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **ლეილა ოთარაშვილი**, საბუნებისმეტყველოს – **ნინო ქლიბაძე**, მათემატიკისას – **შორენა ქლიბაძე**, უცხო ენებისას – **ინგა ლეფსვერიძე**, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდისას – **სოფიკო თოფურია**, დაწყებითი კლასებისას – **ეკატერინე ამბროლაძე**.

დირექტორს დიდი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებაში მხარში უდგანან: გამოცდილი მოადგილე სასწავლო ნაწილში **მზევი ცომაია**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი **ნატა მღებრიშვილი**, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, ნიჭიერი ახალგაზრდა **ლინა გიუნაშვილი**, საქმისმწარმოებელი კეთილსინდისიერი პროფესიონალი – **მაია ზაქარაია**, გამოცდილი ბუღალტერი – **ეკატერინე მამესწარაშვილი**, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ზაზა ბაიდარაშვილი**, რომელიც თავის საქმეს, როგორც იტყვიან ფრიადზე უძღვება.

სასკოლო ბიბლიოთეკას შემოქმედებითად ხელმძღვანელობს ქალბატონი **ნანა დეკანოიძე**. მისასალმებელია, რომ მოსწავლეთა, ე. ი. მკითხველთა ინიციატივით შეგროვდა მაკულატურა, მისგან შემოსული თანხით სკოლისთვის შეიძინეს წიგნები, რითაც გაამდიდრეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

სკოლა არ ღალატობს თავის ტრადიციებს და სასწავლო წლის ბოლოს იმკის მთელი წლის განმავლობაში გაწეული შრომის ტკბილ ნაყოფს: შარშან გამოუშვეს 4 მედალოსანი: **საბა ქოსაშვილი**, **გიორგი კოხრეიძე**, **ალექსანდრე დავთიანი** და **ელენე მელიქიძე**. შთამბეჭდავია მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობა და მიღწევები. **„კინგსის“** ოლიმპიადაში დიპლომები დაიმსახურა 50-მა მოსწავლემ. XII კლასელმა **გიორგი კოხრეიძემ** წარმატებით იასპარეზა ქართული ენისა და მათემატიკის ოლიმპიადებში და მოიპოვა 2016 წლის საგზური **„ბაქსვუდის“** საზაფხულო ბანაკში. **„კინგსის“** ქართული ენის ოლიმპიადაში XI კლასელი **მარი მაქსუტიანი** საქართველოს მასშტაბით შვიდეულში მოხვდა და დასაჩუქრდა საზაფხულო საგზურით წყალტუბოში. ჰყავთ მათემატიკური ოლიმპიადა **„ევერესტის“** არაერთი ფინალისტი. 35 მოსწავლემ **„სმარტ ოლიმპიადაში“** დაიმსახურა სხვადასხვა ხარისხის დიპლომი. VIII კლასელი **მარიამ კოვვაჩი** საერთაშორისო ოლიმპიადა **„რობინსონის“** ინგლისური ენის გამარჯვებულია, ასევე – **„კინგსის“** ოლიმპიადის ქართული ენისა და მათემატიკის დიპლომის მფლობელი. გასულ წელს **„ბლოგების“** კონკურსში, რომელსაც ანხორციელებდა **„მომავალი თაობა“**, ერთდროულად ორ ნომინაციაში გამარჯვებული გახდა XII კლასის მოსწავლე **საბა ქოსაშვილი**. იგი მიიწვიეს სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან კონფერენციაზე, სადაც წაიკითხა მოხსენება **„საგზაო უსაფრთხოების შესახებ“**.

2016 წელს ჩატარდა **„ბიზნეს აკადემიის“** პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ბიზნესში გათვითცნობიერებას. 92-ე სკოლა **გიორგი კოხრეიძის**, **საბა ქოსაშვილის**, **ალექსანდრა დავითიანის**, **გიორგი სამხარაძის** და **ფილიპე ბარავის** მონაწილეობით პირველ ადგილზე გავიდა. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებითა და პრიზებით.

ისრაელში გამართულ საერთაშორისო კონკურსში ანსამბლ **„ერთსულოვნებასთან“** ერთად თავი ისახელეს **ზურაბ მარგიშვილმა** და **ოთარ დიდებაშვილმა**. მათ პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მეექვსეკლასელმა **თამარ თათელაძემ** პირველი ადგილი დაიკავა **„პასადენას“** თასზე. IX კლასის მოსწავლე **მარიამ სამხარაძე** კი თასის მფლობელი გახდა სამეჯლისო ცეკვაში. აი, მონაგარი 92-ე სკოლელებისა.

განა მარტო ეს? მოსწავლეებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ სპორტშიც. VI კლასელმა **დავით ასლანოვმა** პირველი ადგილი დაიკავა აზერბაიჯანში გამართულ ტურნირში **„სეიბუკაი კიოკუ“** კარატეში. **პაატა მანძულაშვილი** საბრძოლო ხელოვნება **„შავფაროსნების“** სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებულია. რაგბის უმაღლეს კლუბ **„არმაზის“** წევრი **საბა ხურცილავა** ევროპის ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი გახდა. XI კლასის მოსწავლე **ვიქტორია ბიბლოვა** პირველი თანრიგოსანია მძლეოსნობაში.





სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის, კიგბოქსინგის, ჭიდაობის, ბეისბოლის, ცეკვის ფასიანი წრეები. მუსიკის წრე კი, უფასოა. ჭადრაკი სკოლაში ისწავლება ცალკე გაკვეთილად და, რა თქმა უნდა, უფასოა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბოლო ორ წელიწადში ჩატარდა მე-3 სართულზე მდებარე დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილი მე-10 საკლასო ოთახისა და მეოთხე სართულზე მდებარე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული რეაბილიტაცია საკუთარი სახსრებით. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ქიმია-ბიოლოგიისა, ფიზიკის საჭირო მოწყობილობებით.

განათლების სამინისტროს ინიციატივითა და სახსრებით სკოლაში მოეწყო სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული აღჭურვილობით. ჰიგიენასა და მოსწავლეთა ჯანმრთელობას უზრუნველყოფს ექიმი – **ნათია ტეფნაძე**.

მართალია, ამჯერად სკოლის ცხოვრების ყველა სფერო ვერ გავაშუქეთ, მაგრამ მთავარია, რომ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი მთელი შემართებით ირჯება და იხარჯება.

სადაც ასეთი მონდომება და საქმის სიყვარულია, გამარჯვებაც იქ არის. დედის დღეს და მხიარული გაზაფხულის შემობრძანებას გილოცავთ, 92-ე სკოლელებო!



**ივერი მესხია**

თბილისის 144-ე საჯარო სკოლა სიახლეების ერთგულია

# სააგარაკო ადგილზე კი არის, მაგრამ რა დაასვენებთ?!



**ორთაჭალის** ქუჩას რომ აუყვები, აშკარად იგრძნობ, სუნთქვა გიადვილდება, სუფთა ჟანგბადი გივსებთ ფილტვებს.

ასეთ სააგარაკო ადგილზე მდებარეობს თბილისის 144-ე საჯარო სკოლა, მაგრამ პედაგოგთა კოლექტივს დასასვენებლად სად სცალია?! მას ხომ ქვეყნის უმთავრესი საქმე – მომავალი თაობის აღზრდა-განათლება აბარია!

ქართული, რუსული, ინგლისური ენების, ისტორიის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ინფორმატიკის, ბიოლოგიის, დაწყებითი კლასების, ხელოვნების, მუსიკის, სამოქალაქო თავდაცვის, სპორტის პედაგოგები: **ფაქიზო ბარამია**, **მარინე გამცემლიძე** (1000 ლარიანი), **ეკატერინე გოგუა**, **ლია გულვერდაშვილი**, **ანა დარსაველიძე**, **ლალი ედიბერიძე**, **შორენა ზარდიაშვილი**, **ეკა სეთურიძე**, **მაგული თანდიაშვილი**, **მარინე კელეპტრიშვილი**, **ნინო მელქაძე**, **ეკატერინე მიჩიტაშვილი**, **დალილა მიქავა**, **მანანა მჭედლიშვილი**, **ეკატერინე ნიჟარაძე**, **ლატავრა პავლაძე**, **მირზა სამხარაძე**, **ასმათ ფანცულაია**, **თეა ქორქაშვილი**,

გაგრძელება მე-3 გვ.



**თბილისის 167-ე საჯარო სკოლა მოწინავეა**

# მთავარი მიზანი – სწავლების მაღალი ხარისხი

გამოცდილი, ერუდირებული, ყოველგვარი სიახლის ინიციატორი, გულკეთილი ხელმძღვანელი, – ასეთი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის 167-ე საჯარო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **ელენე ფუტკარაძემ**, ჩვენთან საუბრისას.

2017 წელი ამ სკოლისთვის საიუბილეოა, მას გახსნიდან 40 წელი უსრულდება. თავდაპირველად, თბილისის მე-3 დღის გახანგრძლივებული სკოლა ერქვა, შემდეგ კი – 167-ე საშუალო. ქალბატონი **ელენე ფუტკარაძე** მეათე წელია ამ სკოლაში ისტორიას ასწავლის და მესამე წელია, რაც



კონკურსის წესით არჩეული დირექტორია. იგი ღირსეულად უძღვება 1000 ბავშვის სწავლა-აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეს.

ყოველი სასწავლო დღე ახალი ენთუზიაზმით იწყება. უნდა იყო მომთხოვნი, ობიექტური, ავკარგიანი, გიყვარდეს ბავშვები და შენი საქმე, – ასეთია დირექტორის მრწამსი. ამიტომ არის მისთვის სკოლა საკუთარი ოჯახივით ძვირფასი.

აქ პედაგოგები რეფორმისეულ სიახლეებს ფეხდაფეხ მიჰყვებიან, წარმატებებს აღწევენ და მაღალ შედეგებზე ორიენტირებულები არიან.

წამყვანი პედაგოგი **ლამარა გერგედავა** (ქართული ენა და ლიტერატურა), უფროსი მასწავლებლები: **ნონა ანთიძე** (ქიმია), **ნანა არდია** (დაწყებითი კლასი), **ნონა ბერიძე** (მათემატიკა), **მარი ბუკია** (ინგლისური), **შორენა გამრეკელაშვილი** (ისტორია), **დარეჯან გეგეშიძე** (გეოგრაფია), **ცისანა გელაძე** (რუსული), **რუსუდან გორგაძე** (დაწყებითი), **ნინო თუთბერიძე** (ბიოლოგია), **ხათუნა კუნჭულია-მედინცოვა** (რუსული), **ლიანა მელაძე** (რუსული), **ბელა ნავდარაშვილი** (დაწყებითი), **დალი ნასყიდაშვილი** (დაწყებითი), **ლიანა ნიშნიანიძე** (ისტორია), **მანანა რიჟამაძე** (დაწყებითი), **ირინე სალია** (დაწყებითი), **თეა სარიშვილი** (ქართული), **ნონა სვანიშვილი** (მათემატიკა), **ეფემია სონიშვილი** (დაწყებითი), **ელენე ფუტკარაძე** (ისტორია), **მარინე ქუმსიაშვილი** (რუსული), **ლია ცნობილაძე** (დაწყებითი), **სოფიო ჭეჟია** (ინგლისური), **ლია ჭუმბურიძე** (დაწყებითი) ამ მიზნის მისაღწევად თავდადებით იღვწიან.

სკოლაში 6 საგნობრივ-მეთოდური კათედრაა, სადაც საინტერესოდ წარმართავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს კათედრის ხელმძღვანელები: **ლამარა გერგედავა** (ქართული ენა-ლიტერატურა), **ნონა ანთიძე** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და მათემატიკა), **ნონა ბერიძე** (მათემატიკა), **ხათუნა კუნჭულია** (უცხო ენები), **შორენა გამრეკელაშვილი** (საზოგადოებრივი მეცნიერებები), **ირინე სალია** (დაწყებითი კლასები).

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს!“ – გვმოძღვრავს ბიბლია. მასწავლებელთა შრომა კი მიღწეული შედეგებით ფასდება. მოსწავლეები წარმატებულად მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონკურსებში, კონფერენციებში. ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. წარმატებული იყო გასული სასწავლო წელი. სკოლას 5 მედალოსანი ჰყავდა – 4 ოქროსი და 1 ვერცხლის. კურსდამთავრებულთა 80% სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. დირექტორი დადებითად აფასებს პრაქტიკოსი მასწავლებლების შრომას, რომელთაგან უმეტესობას სერთიფიცირების თითო გამოცდა უკვე ჩაბარებული აქვს. ესენი არიან: **ნანი არდია**, **თამილა ბასილაძე**, **ლეილა ბაღდადაშვილი**, **ლელა ბლიაძე-ელბაქიძე**, **მაკა გველესიანი**, **ლეილა გოგალაძე**, **ქეთევან გოგიჩაიშვილი**, **ანა გუჯეჯიანი**, **ხათუნა დათუნაშვილი**, **ლამზირა ზარნაძე**, **ნარგიზა კიკვიძე**, **ნაზი კილაძე**, **ნინელი კირვალიძე**, **ნატალია ნავდარაშვილი**, **ვერა სულავა**, **ირინე სულხანიშვილი**, **მარიზა ტაბატაძე**, **ანა ფოცხვერაშვილი**, **გიორგი ქადაგიშვილი**, **მანანა ქვრივიშვილი**, **შორენა შამანაური**, **ნაზი შენგელია**, **ლაურა შუშტაკაშვილი**, **ლალი ჩიხლაძე**, **ნარგიზა ციცქიშვილი**, **იოსებ ძებისაური**, **თეა წიკლაური**, **მარიზა წიკლაური**, **ნათია წიკლაური**, **ხათუნა წულაძე**, **ნონა ჭეჟია**, **გულნაზ ხითარიშვილი**, **ნანული ჯალაღონია**.



მე-12[1] კლასი რუსულის გაკვეთილზე (პედაგოგი – **ლიანა მელაძე**, კლასის დამრიგებელი – **ხათუნა კუნჭულია**).

სკოლაში (იჯარით გაცემულ ფართზე) ფუნქციონირებს ცეკვის წრე **„ვორტექსი“** (ხელმძღვანელი – **ნინო დარახველიძე**), „უშუს“, აღმოსავლური ორთაბრძოლების წრე (ხელმძღვანელი – **გიორგი ვერულიძე**), ლიტერატურული წრე (ხელმძღვანელი – **ლელა მესხი**). სამივე წრე პოპულარულია.

დირექტორმა **ელენე ფიტკარაძემ** ზედმიწევნით კარგად იცის სკოლის ყველა კუთხე-კუნჭული, სად რა არის საჭირო, ვის რა ულხინს, თუ უჭირს. მთელი კოლექტივი ცდილობს, ერთმანეთს მხარში დაუდგნენ და ამ საქმეში სხვებთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობენ დირექტორის გამოცდილი, შემოქმედი მოადგილე **ლიანა ნიშნიანიძე**, ასევე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი, პოეტი **ნუნუ მოდრეკილაძე-ხმალაძე**, საქმისმწარმოებელი **მარეხ გამრეკელაშვილი**.

წელს სკოლას პირველკლასელთა ხუთი და მე-12 კლასელთა ორი ჯგუფი ჰყავს. გახანგრძლივებულ ორ ჯგუფში კი მოზარდებს ყურადღებას არ აკლებენ **ლიანა ქამხაძე** და **ეთერ ქრისტესიაშვილი**, რომლებიც გატაცებით მუშაობენ მათთან.

სკოლაში დღევანდელობის მოთხოვნებსა და ინიციატივებს კარგად იცნობენ. ყველა პედაგოგი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ, მაღალხარისხიან სწავლებას ითხოვს.

**ელენე ფუტკარაძე** ამ სკოლის მეცხრე ხელმძღვანელია. უკვე სახელი მოიხვეჭა, კეთილი ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად და რეფორმისეული სიახლეების წარმატებით გამტარებლად მოგვევლინა. იმედი გვაქვს, **ელენე ფუტკარაძე** ამ საიუბილეო სასწავლო წელსაც და კიდევ მრავალ წელს მტკიცედ იდგება მომავალი თაობის აღზრდის სადარაჯოზე.

167-ე საჯარო სკოლელებო, გილოცავთ დედის დღეს და გაზაფხულის მობრძანებას!

**ნათია გურგენიძე**

---

## მე-2 გვერდიდან

**ფიქრია შათირიშვილი**, **თინათინ შენგელია**, **ხათუნა ჩოქური**, **მაია ცომაია**, **ინდირა წიფურია**, **მაია ჭანტურია**, **ნატო ხაჭაპურიძე**, **თეა ხელაძე** (1000 ლარიანი), **მარინე ხუბაშვილი**, **მარინე ხუბუა**, **ნინო ხუციშვილი**, **ნანა ჯანგულაშვილი**.

დღენიადაგ ზრუნავენ ყმაწვილების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განათლებისათვის. ითვალისწინებენ, რომ განათლების საზღვრები გაფართოვდა. მათი კურსდამთავრებულები არათუ – სამშობლოში, საზღვარგარეთაც გადიან სწავლის გასაგრძელებლად.

ამის თქმის საფუძველს, სკოლის წარმატებებთან ერთად, ისიც იძლევა, რომ პედაგოგთა 50 პროცენტი სერთიფიცირებულია – აშკარად ძლიერი კოლექტივია.

ტრადიციაც უწყობთ ხელს, რასაც სახელოვნად განაგრძობენ: სკოლის დირექტორის **მანანა ქარგეიშვილის** თქმით – იგი აქ მოსვლამდე განათლების სფეროში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა – ეს სკოლა წლების მანძილზე მიიჩნეოდა მოწინავედ.

თავად ამ სკოლაში 2016 წელს დაინიშნა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. მანამდე მე-19 საჯარო სკოლის დირექტორი იყო. ასე რომ, ეს საფეხურიც განვლილი ჰქონდა. გამოცდილ ხელმძღვანელს, ვისაც მომავალი



თაობის აღზრდა ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაუსახავს, კოლექტივიც შესატყვისი დახვდა. მისი მოადგილე **შორენა ზარდიაშვილიც** თავის საქმის ჩინებული მცოდნეა.

აქტიურად, მიზანმიმართულად მუშაობს შვიდივე საგნობრივი კათედრა. პედაგოგები ცდილობენ, სადაც შესაძლებელია, საგნები ურთიერთკავშირში ასწავლონ. ყველა მოსწავლე წარმატებით აბარებს **„კატის“** გამოცდას. შარშან 6 მედალოსანი ჰყავდათ. ოქრო – **თორნიკე ფანცულაია**, **სოფიო ცერცვაძე**, **მარიამ ჯავახიშვილი**; ვერცხლი – **მზია ჯინჭარაძე**, **მარიამ დვალი**, **თამარ მეტრეველი**. წლეულს – 5 მოსწავლეა კანდიდატი. სკოლის უმთავრესი ორიენტირი ხარისხია და არა – რაოდენობა.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ **„კინგსის“**, **„სმარტის“**, **„ევერესტის“** და სხვა კონკურსებში მუდმივად I და II ხარისხის დიპლომებით ჯილდოვდებიან. **USDID**-ის პროგრამა – **„ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე უფრო მწვანე თბილისისათვის“** მოსწავლეებს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში უწყობს ხელს. ამავე საქმეს ემსახურება **„ეკოკლუბი“** (ხელმძღვანელი – **ლალი ედიბერიძე**).

ცხადია, უდიდესი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებას. მისი თავმჯდომარე **ლიზი კელეპტრიშვილი** და აქტივი: **ქეთევან ბოხუა**, **ეკა მსხილაძე**, **სალომე ამირეჯიბი**, **ლუკა ხორბალაძე**, **ანი მახათაძე**, **ელისაბედ ჯინჭარაძე**, **კახაბერ კახურაშვილი**, **ნიკა ყალაბეგაშვილი**, **მეგან ხვედელიძე** და **ნინო დარჩია**, თანატოლებთან და პედაგოგებთან ერთად, ყველა სასკოლო და სკოლისმიღმა ღონისძიებაში აქტიურობენ, თავადაც ნერგავენ ბევრ საინტერესოსა და სასარგებლო სიახლეს.




მოქმედებს **ქართული ხალხური ცეკვის**, **მუსიკის**, **ფოლკლორის**, **მეტყველების** წრეები.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რაიონის გამგეობასთან. იმართება ერთობლივი სპორტული ღონისძიებები, გამგეობა სკოლას ტერიტორიის დასუფთავებასა და მოვლაში ეხმარება.

განათლების სამინისტრომ სკოლას შარშან სველი წერტილები მოუწესრიგა. წლეულს ელექტროსისტემის სრული შეცვლა და პირველი ორი სართულის რემონტი იგეგმება ევროპული სტანდარტების დონეზე.

გვჯერა, 144-ე სკოლის კოლექტივი კვლავაც სასახელოდ იშრომებს და სასახელო ახალგაზრდებსაც აღზრდის.

დედის დღეს და ბედნიერ გაზაფხულს გილოცავთ, მოსწავლეებო და პედაგოგებო!

**კოტე ოდიშელიძე**

თბილისის 64-ე საჯარო სკოლა — ევროსტანდარტებს უმიზნებს

# აქ ტოლერანტობის სულისკვეთებით იზრდებიან

**ჩემი** მისვლისას, 64-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თამარ მამსიკაშვილი** მომდევნო ღონისძიებაზე აღმოჩნდა – ქების სიგელებს გადასცემდა სწავლითა და შემოქმედებით გამორჩეულ მოსწავლეებს. ასეთები კი ბევრი ჰყავთ.

მისმა პირველმა მოადგილემ **ხათუნა მუქერიამ** მომიბოდიშა და ის იყო საუბარი დავიწყეთ, რომ დირექტორიც შემოგვიერთდა.

64-ე სკოლა ერთადერთია საქართველოში, სადაც სწავლება სამ – **ქართულ**, **რუსულ** და **აზერბაიჯანულ** ენებზე მიმდინარეობს. შესატყვისად, დირექტორს კიდევ ორი მოადგილე ჰყავს: **ლიდია მარინინა** და **გულნაზ აგაევი**.

ყმაწვილები მშობლიურ ენებზე ეუფლებიან მეცნიერებათა საფუძვლებს. ამასთან, გაძლიერებულად სწავლობენ სახელმწიფო ენას – **ქართულს**.

სკოლაში **ჩეჩენი**, **სომეხი**, **ქურთი** აღსაზრდელებიც ჰყავთ.

ასეთ ინტერნაციონალურ გარემოში, ცხადია, განსაკუთრე-





ბული მნიშვნელობა ენიჭება ყმაწვილებში სხვა ეროვნებების, მათი თვითმყოფადობის მიმართ პატივისცემის ჩანერგვას. ეს სამივე სექტორის ერთობლივი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი მუშაობით მიიღწევა. შიდასასკოლო ღონისძიებები, თუნდაც, სპორტის ერთი დღე კვირაში, როცა მოსწავლეები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში... ეჯიბრებიან ერთმანეთს, მრავალი თემატური საღამო, დისპუტი, უფრო და უფრო აახლოებს, სხვა კულტურის გაგებისა და დაფასების საშუალებას აძლევს მათ. თუმცა, ყოველმა მათგანმა კარგად უწყის, რომ საქართველოს მოქალაქეა.

შვიდივე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **ირინე იაკობიძე**), მათემატიკის (**კახაბერ სულაკაძე**), უცხო ენების (**მაკა ლაპიაშვილი**), საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**ანა ბალანჩივაძე**), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (**ქეთევან ციციშვილი**), ესთეტიკის (**მაია ბარბაქაძე**), დაწყებითი განათლების (**თამუნა კირვალიძე**) გამართულად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მუშაობს. ყველა პედაგოგი ცდილობს, მოსწავლეებს აქ შეძენილი ცოდნა არათუ საქართველოში, მის ფარგლებს მიღმაც გამოადგეთ.

ცხადია, ყოველ ჩანაფიქრს, გეგმას – მისი წარმატებულად განმხორციელებლები სჭირდება. 64-ე სკოლაში კი ასეთი ყოველი პედაგოგია. ისინი შემოქმედებითად უდგებიან მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის ურთულეს საკითხს და ურთიერთშეთანხმებულად, და, თანაც, ინდივიდუალურად მუშაობენ.

სერთიფიცირებულ პედაგოგებს: **ნინო ასტამაძეს**, **მარიამ გაჩეჩილაძეს**, **როზა გვენეტაძეს**, **ლიანა გოგოლაძეს**, **რუსუდან ერგემლიძეს**, **ეკატერინე ვეკუას**, **ირინე იაკობიძეს**, **ოლღა კუჭუხიძეს**, **ნანა მაღლაკელიძეს**, **ნინო მიდელაშვილს**, **ნინო ნატროშვილს**, **კახაბერ სულაკაძეს**, **იური ტაბუევს**, **ეკა ჩუბინიძეს**, **ქეთევან ჯავახიძეს**, **ქეთევან ციციშვილს** ტოლს არ უდებენ კოლეგები: **ციური აბაზაძე**, **ლია აბულაძე**, **გულნაზ აგაევი**, **ნაირა ალახვერდოვი**, **მადონა ალექსიძე**, **ელმირა ალიევ-ასკაროვი**, **ნატალია ამირანაშვილი**, **სვეტლანა ბაბენკო**, **ანა ბალანჩივაძე**, **მაია ბარბაქაძე**, **რუსუდან ბარბაქაძე**, **ირინა ბორისოვი**, **ნანა ბუკია**, **ზოია გაგლოევი**, **ნანა გვარაძე**, **მარიეტა გიგაშვილი**, **ეკატერინე გიგუაშვილი-ლობჟანიძე**, **ნანა გოგოლაძე**, **ვალენტინა გომართელი**, **მანანა გონგაძე**, **ლეილა გულიევი**, **თარღან ჰუსეინოვი**, **ლია დავლაძე**, **მაია ენუქიძე**, **სულიკო ეფხოშვილი**, **ნათია ვარდიაშვილი**, **ხათუნა ვარდუაშვილი**, **ირმა თვაური**, **შორენა თოფალაშვილი**, **ეკატერინა კეთილაძე**, **თამილა კირვალიძე**, **მეგი კოკაური**, **აბაიათ ყურბანოვი**, **ჯეირან ყურბანოვი**, **მაკა ლაპიაშვილი**, **ირინა ლოგუნოვა**, **ეკატერინე ლომიძე-კალანდაძე**, **მზიური მამფორია**, **მაია მატუა**, **ლელა მერკვილაძე**, **შორენა მოდებაძე**, **ვიქტორია მუტაფიანი**, **ხათუნა ნიაზაშვილი**, **ნინო ნატროშვილი**, **თინა რაზმაძე**, **ნათია როსტიაშვილი**, **ინგა სააკაშვილი**, **გულნარა სულეიმანოვი**, **ნათელა ტაბუევი**, **ალიონა ტრეგლაზოვი**, **თინათინ ფირაშვილი**, **მაია ქურიძე**, **თამარ შადური**, **ლია შაორაძე**, **ნანა ჩიტაური**, **სოფიო ცარციძე**, **მანანა წამალაიძე**, **ჟანა ჭინჭარაული**, **ლუიზა ხარატიშვილი**, **ნაიდა ხიალოვი**, **ბატოხან ხიალოვი**, **თეონა ხოსიტაშვილი**, **ნინო ჯავახიძე**, **ზაზა ჯარმარჯიშვილი**.

შარშან ორი მედალოსანი ჰყავდათ: **გიორგი წიკლაური** –



ოქრო, **ლევან გორგიაშვილი** – ვერცხლი. წლეულს უკვე ოქროს მედლის 5 კანდიდატი ჰყავთ. ცხადია, სკოლა რაოდენობას არ გამოჰკიდებია – ეს პედაგოგთა კოლექტივის კიდევ უფრო ხარისხიანი მუშაობის ლოგიკური შედეგია.



სკოლა ყველა სახელმწიფო და კერძო ოლიმპიადებში მონაწილეობს და დიდი წარმატებითაც. განათლების სამინისტროსა და VSAIP პროგრამით ხორციელდება დაწყებითი სწავლების პროექტი, რაც პატარებში მათემატიკის ცოდნისა და წიგნიერების ამაღლებას გულისხმობს. გახსნილია ინტეგრირებული კლასი იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც სპეციალური განათლება სჭირდებათ. მათთან მუშაობენ სპეცგანათლების პედაგოგი და ფსიქოლოგი.

ცხადია, ასეთ წარმატებებს სათანადო ხელმძღვანელობა სჭირდება. 64-ე სკოლის დირექტორს **თამარ მამსიკაშვილს** საამისო გამოცდილება და ორგანიზატორული ნიჭი აქვს. მან ჯერ მაშინდელი უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა (გერმანული ენა), შემდეგ მასწავლებელთა გადამზადების ერთწლიანი პროგრამა გაიარა. არის განათლების მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა სახლის ტრენერ-კონსულტანტი. უკვე 14 წელიწადია, რაც განათლების სისტემაშია. გაიარა ყველა საფეხური – იყო მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე. ამ სკოლას უკვე მეექვსე წელია უდგას სათავეში.

ბედნიერებაა, რომ ასეთი ხელმძღვანელი ჰყავს 64-ე საჯარო სკოლის გამოცდილსა და მონდომებულ პედაგოგთა კოლექტივს.

**კონსტანტინე ბაკურაძე**

საქმე და სიტყვა, რომელიც გვეჩოთირება

# როგორ ვერ მომატყუა დირექტორმა

**შაშკინის** შეუქცევადი შიში დღესაც ბუდობს ზოგიერთი სკოლის დირექტორის თავში. შიში ბევრი რამის გამო იყო. ერთ-ერთი მათგანია ჟურნალისტებთან, თუნდაც მასწავლებელთა გაზეთის თანამშრომლებთან ურთიერთობის გამო, დირექტორებს ჟურნალისტებისგან თავის არიდების მეთოდიკა ისე აქვთ დახვეწილი, თითქოს ამ მიზნით, ტრენინგები გაიარესო.

სამინისტროსგან სკოლებისთვის დარიგებული ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლის დაზუსტების მიზნით დირექტორს „დავუკავშირდი“, მაგრამ დავუკავშირდი კი? საქმის მწარმოებელმა გამომძიებელივით გამომკითხა: „ვინა ხარ, სიდან მოსულხარ, ან კი მიდიხარ სადაო?“ – ჟურნალისტი ვარ, განათლების სისტემის მუშაკი, – გავიგებ, არის თუ არა დირექტორი. პაუზა და პასუხი: სამინისტროშია წასული.

კიდევ ხუთ სკოლას დავუკავშირდი. პასუხები: „რესურსცენტრშია“, „შეხვედრაზეა“, „ტრენინგზეა“, ე. ი. სკოლაში არასოდეს არ არის. ეჭვი შემეპარა და დავრწმუნდი, მატყუებდნენ. მეექვსე სკოლიდანაც იგივე პასუხი. – გთხოვთ მობილურის ნომერი ჩამაწერინოთ. – აკრძალული გვაქვს.

გამახსენდა, რომ ამ სკოლაში მეგობარი მუშაობდა. – თუ ძმა ხარ, ერთი გამიგე, თქვენი დირექტორი სად არის? – აგერაა, თავის კაბინეტში ზის. ისევ ვურეკავ საქმეთა მწარმოებელს: არა გრცხვენიათ? ცხვირწინ გიზის დირექტორი და მე თქვენს კოლეგას ასე უტიფრად რომ მატყუებთ? მკითხველო, აი, ბიუროკრატიზმის კლასიკური მაგალითი.

### მედასავლეთე ქართველების აფორიზმები

**რუსთაველის ხმაზე**: „ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა, გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. „ხამს დოლარი ევრო ჩემთვის, ამერიკა – გზად და ხიდად“.

**ბარათაშვილის ხმაზე**: „ჯანი გავარდეს აწ ენას, მამულს, ოღონდ ვაამო ჩემს საკუთარ გულს!“ „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

**ერისთავის ხმაზე**: „მე მირჩევნია მამულსა ინგლისი დოლარიანი“.

### „ო, ენავ, ჩემო!“

„შედეგებზე ორიენტირებული“. უშედეგობაზე, გაკოტრებაზე ორიენტირებული საქმე სადმე გინახავთ? უნდა იყოს: „მაღალ შედეგებზე ორიენტირებული“.

„განვითარების სამინისტრო“, „განვითარების სამმართველო“. სიტყვა **„განვითარების“** ზედმეტია. ყველა დაწესებულება ამა თუ იმ დარგის განვითარებისთვის, წარმატების მიღწევისთვისაა შექმნილი და არა დაკნინებისთვის. უნდა იყოს ტრადიციულად: „განათლების სამინისტრო“, „ეკონომიკის სამინისტრო“ და არა „ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო“.

სოფელ კოდის შესასვლელში, ტრიალ მინდორზე დგას ბოძი, რომელსაც აწერია: **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. ადრე ეწერა **„რაიონი“**, რომელიც ნამდვილად სწორია. **რაიონი** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, იმ ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში მას ეკუთვნის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას, რომელიც უნდა ეწეროს ქალაქის იმ შენობას, რომელშიც ეს ორგანიზაცია არის განთავსებული. ახლა კი, ასე გამოდის, ეს ბოძი ყოფილა თვითმმართველობა. ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდი, დავუძახოთ: **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**. როგორი იქნება ჰა?

**მოსე მწერალი**

# ევროსტანდარტების მხარდამხარ

## საერთაშორისო ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტი IV დონის აკრედიტაციის მქონე ელიტარული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება



**ამ ახალი რუბრიკის მიზანია მაღალკვალიფიციური ევროსტანდარტების დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების აღმზრდელ-გამომშვები უმაღლესი საშუალო და სპეციალური სასწავლებლების საქმიანობის, მათი მოწინავე ხედვა-იდეების ასახვა-წარმოჩენა. რუბრიკას უძღვება ჟურნალისტი ირმა მებონია.**

ГЕРБ МЕГУ

***ჩვენი პირველი სტუმარია:***

**„ევროპული განათლების აკადემია“** – *ასე ჰქვია საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის კონტრაქტორ მხარეს საქართველოში, რომელიც ეწევა პროფ. საორიენტაციო, საკონსულტაციო, მოსამზადებელ, დისტანციურ, სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის კონტრაქტორი მხარე არსებობის სულ რაღაც სამ წელს ითვლის საზოგადოებაში დიდი ნდობით სარგებლობს და მძლავრი მატერიალურ ტექნიკური ბაზით გამოირჩევა.*

*საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორის წარმომადგენელი საქართველოსა და კავკასიაში, ევროპული განათლების აკადემიის დირექტორი და წარმომადგენელი* **სერგო ჭიჭალუა** *გახლავთ. დღეს ის ამ უნივერსიტეტის პრიორიტეტებზე, აქ დანერგილ სიახლეებზე ისაუბრებს.*

***მინი დოსიე:***

*სერგო ჭიჭალუამ წალენჯიხის რაიონ სოფელ ჩქვალერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 2003 წელს წარჩინებით დაასრულა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური გეოგრაფია ტურიზმი და ქვეყანათმცოდნეობის განხრით. მინიჭებული აქვს გეოგრაფის, ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაცია.*

*2006–2008 წწ. ზდუ-ში დაამთავრა სამაგისტრო პროგრამა სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებით, მიენიჭა სამართალმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაცია.*

*2000–2004 წწ. მუშაობდა წალენჯიხის რაიონის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის პედაგოგად;*

*2001–2003 წწ. იყო დასავლეთ საქართველოს გეოგრაფთა და გეოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი;*

*2003–2004 წწ. საქართველოს პროფესიული კავშირების თბილისის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი;*

*2003 წლიდან საქართველოს საგანმანათლებლო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტია;*

*2003–2006 წწ. საქართველოს ხარისხის მართვის უნივერსიტეტის და კოლეჯის ზუგდიდის განყოფილების დირექტორი;*

*2006 წლიდან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზგადოება „თემიდა და კომპანიის“ დამფუძნებელი და დირექტორია;*

*2006–2008 წწ. ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინფორმატიკის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;*

*2008–2009წწ. თბილისის საერო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ზუგდიდის ფილიალის დირექტორი;*

*2009–2011წწ. თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რექტორი;*

***2013 წლიდან დღემდე ევროპული განათლების აკადემიის, საერთაშორისო განათლებისა და მეცნიერების აკადემიის დამფუძნებელი და დირექტორია.***

**– ბატონო სერგო, გვიამბეთ საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის შესახებ...**

საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი საზოგადოებაში დიდი ნდობით სარგებლობს, რადგან გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით, კვალიფიციური, აკადემიური პერსონალით, ბოლონიის, ევროსტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებითა და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. გარდა ამისა, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან ცოდნის გამდიდრებისა და დასაქმების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სწავლებისა და კვლევის ხარისხის სრულყოფას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

დღეისათვის, საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო განათლების მისაღები უმაღლესი დაწესებულებაა, რომელიც ყველა პირობას უქმნის სტუდენტებს წარმატების მისაღწევად აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ჩართულია 180 პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი.

**– რატომ უნდა აირჩიონ აბიტურიენტებმა საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, რა პრივილეგიებით სარგებლობთ, როგორ ხდება მოწყობა თქვენს კონტრაქტორ უნივერსიტეტში, რატომ არ ბარდება თქვენთან ეროვნული გამოცდები-ამის შესახებაც უამბეთ ჩვენს მკითხველს...**


МІНІСТЕРСТВО ОСВІТИ І НАУКИ УКРАЇНИ

СЕРТИФІКАТ ПРО АКРЕДИТАЦІЮ

Серія НІ- ІІ № 1823749

Приватний вищий навчальний заклад "Міжнародний економіко-гуманітарний університет імені академіка Степана Дем'янчука"

відповідно до рішення Акредитаційної комісії від 29 березня 2013 р. протокол № 102
(наказ МОН України 05.04.2013 № 927-л)
з напряму (спеціальності) 0304 Право 6.030401 Правознавство
визнано акредитованим за II (другим) рівнем. Термін дії сертифіката до 1 липня 2018 р.

Міністр Д.В. Табачник

м.Київ 5 червня 2013 р.

М.П.

– მინდა მივმართო აბიტურიენტებს: აბიტურიენტებო, თქვენი არჩევანი განსაზღვრავს თქვენს წარმატებულ მომავალს... თუ გსურთ, ისწავლოთ ევროპული სტანდარტებისა და მაღალი ტექნიკური ბაზით აღჭურვილ უნივერსიტეტში, თუ გაქვთ სურვილი, რომ მომავალ პროფესიას დაეუფლოთ ცნობილი პროფესორების უშუალო ხელმძღვანელობით, თუ ოცნებობთ, რომ სწავლის მეორე საფეხურიდან ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეს შეუერთდეთ, მაშინ, გირჩევთ გაეცნოთ საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საქმიანობას!

ევროპული განათლების აკადემია უკვე მესამე წელია საქართველოსა და კავკასიის მოქალაქეებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე აძლევს შესაძლებლობას გახდნენ აკრედიტებული საერთაშორისო ეკონმიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე!

ევროპული განათლების აკადემია ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც გავლილი აქვს რეგისტრაცია უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო განათლების ცენტრში.

რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ არეგულირებს აკრედიტებულ სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის წესს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე (თავი VIII მუხლი მე 3-ე ა), ბ) და მე-4ე პუნქტი). იგივე რეგულაცია მოქმედებს უცხო ქვეყნების აკრედიტებულ უნივერსიტეტებში არარეზიდენტი მოქალაქეების ჩარიცხვაზე.

საქართველოს მოქალაქეები ითვლებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებად და შესაბამისად, უკრაინის სახელმწიფო აკრედიტებულ უნივერსიტეტებში ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

**– როგორია საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში მიღების წინაპირობა?**

– უნივერსიტეტში მიღება ორი ეტაპისგან შედგება, პირველი ეტაპისთვის აბიტურიენტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

➢ ატესტატის ორიგინალი და ასლი უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული – 2 ცალი;

➢ დაბადების მოწმობის ასლი უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული – 2 ცალი;

➢ საზღვარგარეთის პასპორტის ასლი უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული – 2 ცალი;

➢ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული – 2 ცალი;

➢ 6 ფოტოსურათი ზომით – 6 X 4-ზე.

➢ წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის.

მეორე ეტაპი – გასაუბრება გახლავთ.

**– რამდენი წელი გრძელდება სწავლა, რას გვეტყვით გრანტთან დაკავშირებით და ყველაზე მთავარი – კურსდამთავრებულებს შეეძლებათ თუ არა სახელმწიფო სამსახურის დაწყება უკრაინული დიპლომით?**

– უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ბაკალავრიატში სწავლა ოთხ წლიანია – 240 კრედიტი; მეორე საფეხურზე მაგისტრატურაში – ორწლიანი – 120 კრედიტი; მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში – სამწლიანი – 180 კრედიტი. მინდა გითხრთ, 22 წლის არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი დაამთავრა 28000 სტუდენტმა, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო და ევროპული სტანდარტის დიპლომი და წარმატებით დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ადგილობრივ და საერთაშორისო ისე, კერძო სტრუქტურებში, როგორც უკრაინის მთელს ტერიტორიაზე ასევე, მის საზღვრებს გარეთ. ჩვენს დიპლომებს ისეთივე ძალა აქვს, როგორც საქართველოს და ევროპული ქვეყნების აკრედიტებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომებს (იხ. მინისტრის ბრძანება 21.07.2010. №3528). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (თავი VII მუხლი 49, მე 5 – ე პუნქტი. ასევე იხ. მინისტრის ბრძანება 7.042009 № 1161). უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით (მუხლი 50). შესაბამისად, კურსდამთავრებულის დიპლომებს ცნობს და აღიარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლისა და დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების ლეგალიზაციის შემდეგ (იხ. მინისტრის ბრძანება (21.07.2010. №3528)) .

**– ვიცით, რომ თქვენს კონტრაქტორ უნივერსიტეტში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ გარკვეული უპირატესობებითა და შეღავათებით...**

– დიახ, ასეა:

➢ 2017 წლის 25 აგვისტომდე რეგისტრირებული აბიტურიენტები მიიღებენ 10%-იან თანადაფინანსებას;

➢ ოჯახის ერთზე მეტი წევრის ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის გადასახადზე მიეცემათ შეღავათი თითოეულს 20-20%-ით;

➢ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით ადგილნაცვალ პირებზე იმოქმედებს 10%-იანი შეღავათი;

➢ ობლებსა და მზრუნველობამოკლებულ პირებზე მოქმედებს 20%-იანი შეღავათი;


МИНИСТЕРСТВО ОБРАЗОВАНИЯ АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 48-03-1136/16 «19» 02 2015 г.

Директору Академии Европейского Образования С.Чичагуа

на № 92 от 13.01.2015 г.

Уважаемые коллеги!

По законодательству об образовании Азербайджанской Республики легальность высшего учебного заведения определяется по специальному разрешению (лицензии) и аккредитации, выданные компетентным органом государства в сфере образования, в котором оно осуществляет свою деятельность.

Дипломы высших учебных заведений, отвечающие этим условиям, а также соблюдающие требования решения Кабинета Министров Азербайджанской Республики № 64 «Об утверждении порядка признания и установления эквивалентности (нострификации) специальностей высшего образования иностранных государств» от 13 мая 2003 г. признаются на территории Азербайджанской Республики.

Заведующий отделом внутреннего контроля К. Гулиев

AZ1008, Азербайджан, Баку, проспект Хатаи 49, тел.: +994 12 496 33 11, факс: +994 12 496 34 83, 496 34 90
e-mail: office@edu.gov.az, www.edu.gov.az

➢ წარჩინებულ სტუდენტებს საკონსულტაციო პერიოდისათვის დაენიშნებათ სტიპენდია 50 დან 100 ლარის ოდენობით;

➢ მობილობით გადმოსულ სტუდენტებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 15 % -ით;

➢ МЭГУ – ში საბაკალავრო პროგრამის წარჩინებით კურსდამთავრებულ 10 სტუდენტს სრულად დაუფინანსდება სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმა-

გაგრძელება მე-6 გვ.


Серія АЕ ЛІЦЕНЗІЯ № 636844

МІНІСТЕРСТВО ОСВІТИ І НАУКИ УКРАЇНИ

| | |
|---|---|
| Вид господарської діяльності: | надання освітніх послуг навчальними закладами, пов'язаних з одержанням вищої освіти на рівні кваліфікаційних вимог до бакалавра, спеціаліста, магістра (спеціальності (професії) та ліцензовані обсяги прийому вказані у додатку) |
| Найменування юридичної особи: | Приватний вищий навчальний заклад "Міжнародний економіко-гуманітарний університет імені академіка Степана Дем'янчука" |
| Ідентифікаційний код юридичної особи: | 24171048 |
| Місцезнаходження юридичної особи: | 33027 м. Рівне, вул. академіка Степана Дем'янчука, 4 |
| Рішення про видачу ліцензії: | Акредитаційної комісії від 28.05.2015 р., протокол № 116 (наказ МОН України від 10.06.2015 №1415л ) |
| Строк дії ліцензії | Термін дії ліцензії вказаний в додатку |
| Дата видачі ліцензії | 19.06.2015 |
| Міністр | С. М. Квіт |

М.П.

„რვა მარტი და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!“

# ნანა მასწავლებელი ყველას გვიყვარს



**იმდენი** ჩინებული პედაგოგი მოღვაწეობს თბილისის 52-ე საჯარო სკოლაში, რომ რომელიმეს გამორჩევა ნამდვილად გაგიჭირდებათ. სარვამარტოდ გვინდოდა ერთ-ერთი მათგანისთვის გაზეთის საშუალებით მიგველოცა ქალთა დღე და პედაგოგებმა უყოყმანოდ დაგვისახელეს შემოქმედი მასწავლებელი **მათემატიკისა ნანა ლიპარტიანი**. მის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ სკოლის გამოცდილი დირექტორი **ნანი გიორგაძე**, მისი მოადგილე **ციური კორტი**, კოლეგები. იმდენად ცნობილია **ნანა მასწავლებელი**, რომ მასთან ინტერვიუ ჟურნალისტურ სტატიად ჩამოაყალიბა და გადმოგვიგზავნა სულ სხვა საგნის, **ქართული ენა-ლიტერატურის** ასევე ბრწყინვალე მასწავლებელმა **ია კაკონაშვილმა**.

* * *

ცხოვრების 70 წლითა და ბევრი კეთილი საქმით გაგაცნობთ ღვაწლმოსილ პედაგოგს ქალბატონ **ნანა ლიპარტიანს**. თბილისის ქართველ იუნკერთა სახელობის 52-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს, ჩუმ მუშაკს, მრავალი თაობის აღმზრდელსა და მოამაგეს, სიყვარულისა და სიკეთის მთესველს, უანგაროდ, უშურველად რომ გასცემს ყველასთვის საკუთარ გამოცდილებას.

მან ოქროს მედალზე დაამთავრა დედაქალაქის 36-ე საშუალო სკოლა, შემდეგ – დედაუნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრაზე ლაბორანტად, შემდეგ – უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ასე დაიწყო მისი კარიერული წინსვლა. შემდეგ იყო სკოლა **„ბალავარში“** პედაგოგად მუშაობის საინტერესო და ნაყოფიერი წლები. იგი უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას სიამოვნებით გადასცემდა კოლეგებსა და მათემატიკის ნიჭით გამორჩეულ მოსწავლეებს. დღესაც ჩვეული ინტერესით, აქტიურად თანამშრომლობს კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და გვაძლევს ღირსეული პედაგოგისა და მოქალაქის შესანიშნავ მაგალითს. ქალბატონ ნანას ვთხოვეთ რამდენიმე საკითხზე აზრის გაზიარება. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

– ***ქალბატონო ნანა, თქვენი აზრით, რას ნიშნავს იყო კარგი მასწავლებელი?***

– მასწავლებლის სახელი ბევრს ავალებს ადამიანს. მასწავლებელზეა დამოკიდებული, მეტწილად, მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება, მისი გონებრივი შესაძლებლობების და უნარ-ჩვევების განვითარება. მიმაჩნია, რომ მასწავლებლის პირადი მაგალითი უფრო მეტს მისცემს მოსწავლეს, ვიდრე ხშირი დამოძღვრა და ჭკუის სწავლება. მოსწავლეს უნდა სჯეროდეს შენი სამართლიანობის, ობიექტურობის, საგნისადმი სიყვარულს უნდა ხედავდეს, მხოლოდ მაშინ აქვს ფასი და „ძალა“ მიცემულ შენიშვნას. ჩემთვის მასწავლებლობა მოწოდებაა.

– ***ყოველი პროფესიის ადამიანს ჰყავს მისაბაძი პიროვნება, ასე ვთქვათ, კერპი. თქვენთვის ვინ არის ასეთი სანიმუშო პედაგოგი?***

– სიყვარულით გავიხსენებ ჩემს პედაგოგებს: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – **გრიგოლ კუტუბიძეს**, მათემატიკის მასწავლებლებს: **ლილი სარდალიშვილსა** და **გრიგოლ ბაშალეიშვილს**. დაწყებითი კლასის მასწავლებელს – **ვარვარა ხადურს**. მათგან ძალიან ბევრი რამე ვისწავლე. ჩემს მასწავლებლებს ბავშვები ძალიან უყვარდათ. ჩვენ ვგრძნობდით ამას ყოველთვის. ისინი გამოირჩეოდნენ საქმის უანგარო სიყვარულით. შეიძლება ითქვას, „ვოლუნტარისტები“ იყვნენ. განა მათი ხელფასი კი იყო ფასეული? მე როცა დამაჯილდოვეს იაკობ გოგებაშვილის მედლით გაწეული მუშაობისთვის, მაშინაც ვთქვი, რომ „ჩემი მასწავლებლების მხრებზე ვდგავარ-მეთქი“.

– ***სამწუხაროდ, დღეს ახალგაზრდებში პედაგოგის პროფესია არ არის „მოდური“, პრესტიჟული. თუმცა, ამ კუთხით მთავრობისგან შეიმჩნევა მხარდაჭერა და შეიძლება ითქვას, დადნა ყინული. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?***

– მასწავლებლობა ახალგაზრდის მოწოდება უნდა იყოს, პედაგოგობა რთული პროფესიაა, დიდ მოთმინებასა და ენერგიას მოითხოვს. ხელფასის მატების მიუხედავად, მასწავლებლობა მაინც **მცირეხელფასიან** პროფესიათა რიგს მიეკუთვნება. სწრაფად უნდათ ახალგაზრდებს წარმატების მიღწევა. ჩვენს დარგში კი წარმატება ჩქარა არ მოდის. ახალგაზრდა ადვოკატი გახმაურებულ პროცესში ჩაერთვება და მოიგებს საქმეს თუ წააგებს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ის უკვე ცნობილი სახე ხდება. ჩვენი სივრცე უფრო „ჩაკეტილი“ და პრობლემურია. სკოლაში ურთიერთობები უფრო სათუთია, მოსაფრთხილებელი, საფერები და შედეგს ჩვენი საქმე გვიან გვაძლევს. საჭიროა პედაგოგის პროფესიას უფრო მეტი პროპაგანდა უნდა გავუწიოთ მასმედიის საშუალებებით.

– ***საინტერესოა თქვენი აზრი მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან დაკავშირებით.***

– ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ და ყოველთვის მაინტერესებს სიახლე. პროგრესის, განვითარების მოსურნე ადამიანი ღია უნდა იყოს სიახლისადმი. გაეცნოს, გაიაზროს და საკუთარ საჭიროებებს მოარგოს. მახსოვს, როცა სქემის მიხედვით, რეფლექსიების წერა დაგვევალა, დავჯექი და პედაგოგიური წარსული გავიხსენე.



სად მქონდა პრობლემა და როგორ დავძლიე იგი. ეს ჩემი „ამბები“ ახალგაზრდა პედაგოგებს გავუზიარე. ძალიან მოეწონათ და მითხრეს, რომ ჩემი მონათხრობიდან მშვენიერი საგაზეთო სტატია გამოვიდოდა. მეც ახალგაზრდა კოლეგების შექებით ფრთაშესხმული შევუდექი თვითრეფლექსიების წერას, წარმოიდგინეთ, თურმე არც ისე ცუდად მიკეთებია ჩემი საქმე.

ჩემი აზრით, მასწავლებელი უნდა გაიზარდოს ნაბიჯ-ნაბიჯ და მის განვითარებას უწყვეტობა უნდა ახასიათებდეს.

– ***რას ურჩევდით ახალბედა მასწავლებლებს?***

– გერმანელმა ფსიქოლოგმა ქალმა **მარტა მუფოვამ** შეადგინა იდეალური მასწავლებლის ფსიქოგრამა, უამრავი მოსწავლის გამოკითხვის საფუძველზე. მოსწავლეები მოითხოვდნენ საუკეთესო საშუალს ანუ „ოქროს კვეთას“ (ფსიქოგრამის მიხედვით, განსაზღვრული იყო მასწავლებლის სიმაღლე, თმის სიგრძე, ჩაცმის სტილი და ფერებიც კი), ვფიქრობ, რომ ყოველი მასწავლებელი უნდა ისწრაფვოდეს სრულყოფილებისაკენ, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს სულიერებასთან. მასწავლებელი ხომ ადამიანის სულს ძერწავს და აქანდაკებს დამოუკიდებელ, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეს. მე გთხოვთ, არ შეგაშინოთ ამ უდიდესმა მოვალეობამ, არც სიძნელეებმა, **საქმე აკეთეთ გულწრფელად, სიყვარულით და მოიპოვეთ ნდობა თქვენი მოსწავლეების და დაშვებულ გადაცდომასაც კი გაპატიებენ ბავშვები, რადგან ისინი ყველაზე კარგად ხედავენ და აფასებენ თქვენს შრომას.**

ესაუბრა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
**ია კაკონაშვილი**

გვერდი მოამზადა
**რომან მოსეშვილმა**

**რედაქტორის მინაწერი: 52-ე სკოლელებო, გილოცავთ დედის დღეს და გაზაფხულის მობრძანებას. მადლობა ჩვენს კოლეგას ია კაკონაშვილს, რომელმაც ჩინებული ქართულითა და ჟურნალისტური ალღოთი თავი მოგვაწონა. სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს მის სხვა სტატიებსაც.**

მე-5 გვერდიდან

ნიტარული უნივერსიტეტის პარტნიორ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში;

➢ საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა სემესტრულად მონაწილეობა მიიღონ და ისწავლონ ესპანეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ წამყვან უნივერსიტეტებში.

**– საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე რას გვეტყვით?**

საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი (МЭГУ) 2017-2018 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

➢ ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე;
➢ მენეჯმენტი;
➢ მარკეტინგი;
➢ აღრიცხვა და აუდიტი;
➢ საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება;
➢ მეწარმეობა, სავაჭრო და საბირჟო საქმიანობა;
➢ ტურიზმი;
➢ სამართალმცოდნეობა;
➢ ფიზიკური რეაბილიტაცია;
➢ სპორტი;
➢ პროგრამული ინჟინერია;
➢ კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები;
➢ ფსიქოლოგია;
➢ ჟურნალისტიკა;
➢ ინგლისური ენა;
➢ ბიოლოგია;
➢ გეოგრაფია;
➢ სკოლამდელი აღზრდა;
➢ დაწყებითი განათლება.

ასევე, შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

➢ ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე;
➢ მენეჯმენტი;
➢ საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება;
➢ ტურიზმი;
➢ სამართალმცოდნეობა;
➢ ჟურნალისტიკა;
➢ კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები;
➢ ფიზიკური რეაბილიტაცია;
➢ სპორტი;
➢ გეოგრაფია.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ, რა სიახლეების დანერგვას აპირებთ...**

– წინსწარ სამომავლო გეგმებზე საუბარი არ მიყვარს, ვემზადებით ახალი, მნიშვნელოვანი პროექტებისთვის, რომელიც მალე გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის... სიახლეებს პერიოდულად თქვენი გაზეთის საშუალებით მივაწვდით მკითხველს. იქამდე კი, გეტყვით რომ, წელს პირველად, მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის გვაქვს უპრეცედენტო შემოთავაზება!!!

როვნოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული და საინჟინრო კოლეჯი (РЕГИК) აცხადებს მიღებას 2017-2018 სასწავლო წელს აბიტურიენტებისათვის საბაზო, ზოგადი განათლებით (9 კლასის ბაზაზე) შემდეგ სპეციალობებზე:

1. სკოლამდელი აღზრდა – 4 წელი – სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელი (აღმზრდელი);
2. დაწყებითი განათლება – 4 წელი – დაწყებითი კლასების მასწავლებელი (პედაგოგი);
3. ფიზიკური კულტურა და სპორტი – 4 წელი – ფიზიკური კულტურის მასწავლებელი (პედაგოგი);
4. სამართალმცოდნეობა – 4 წელი – იურისტი;
5. ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა – 3 წელი – ფინანსებისა და დაზღვევის უმცროსი სპეციალისტი;
6. კომპიუტერული ინჟინერია – 4 წელი – ტექნიკ – ელექტრონიკოსი;
7. პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია – 4 წელი – პროგრამისტ – ტექნიკოსი;
8. სოციალური მუშაობა – 3 წელი – სოციალური მუშაკი.

ხოლო, სრული საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტებისთვის მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. სკოლამდელი აღზრდა– 3 წელი – სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელი (ამღზრდელი);
2. დაწყებითი განათლება – 3 წელი – დაწყებითი კლასების მასწავლებელი (პედაგოგი);
3. ფიზიკური კულტურა და სპორტი – 3 წელი – ფიზიკური კულტურის მასწავლებელი (პედაგოგი);
4. სამართალმცოდნეობა – 3 წელი – იურისტი;
5. ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა – 2 წელი – ფინანსებისა და დაზღვევის უმცროსი სპეციალისტი;
6. კომპიუტერული ინჟინერია – 3 წელი – ტექნიკ-ელექტრონიკოსი;
7. პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია – 3 წელი – ტექნიკ პროგრამისტი;
8. სოციალური მუშაობა – 2 წელი – სოციალური მუშაკი.

გარდა ამისა, აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მე-3-ე კურსზე მონათესავე სპეციალობის პირობით.

როვნოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ და საინჟინრო კოლეჯის (РЕГИК) საჭირო დოკუმენტების ნუსხა:

➢ ატესტატი ორიგინალი და ასლი უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული 2 ცალი;
➢ დაბადების მოწმობის ასლი უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული 2 ცალი;
➢ საზღვარგარეთის პასპორტის ასლი უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული 2 ცალი;
➢ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ უკრაინულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული 2 ცალი;
➢ 6 ფოტოსურათი ზომა 6 X 4;
➢ წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის.

იჩქარეთ, რეგისტრაცია დაიწყო, ადგილები შეზღუდულია! დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: **ქ.თბილისი, მეტრო ახმეტელი (მუხიანის დასახლება), რამაზ შენგელიას 7.**

**ტელ: +995 592 92 55 92; www.eeacademy.ge ან შემოგვიერთდით facebook: ევროპული განათლების აკადემია.**

მასალა მოამზადა
**ირმა მეზონიამ**



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 6 16 01121708

21/09/2016

შპს - ევროპული განათლების აკადემიას
(მის.: ქ.თბილისი მეტრო ახმეტელი (მუხიანის დასახლება) რამაზ შენგელიას ქუჩა 7)

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა თქვენი №948927 წერილი საგანმანათლებლო დაწესებულების აღიარების თაობაზე.
საქმისწარმოების ფარგლებში, ცენტრმა წერილით მიმართა უკრაინის "National Information Centres"-ს, თქვენ მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის და მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით.
უცხოეთიდან მიღებული წერილის თანახმად, გაცნობებთ, რომ "International University of Economics and Humanities named after Stepan Demianchuk" უკრაინაში აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ფლობს IV დონის აკრედიტაციას.
აღნიშნული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი:

1. **მენეჯმენტი** - II, IV დონის აკრედიტაცია;
2. **აღრიცხვა და აუდიტი** - III, IV დონის აკრედიტაცია;
3. **ფინანსები, საბანკო საქმე და აღრიცხვა** - III, IV დონის აკრედიტაცია;
4. **საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება** – II, III, IV დონის აკრედიტაცია;
5. **ტურიზმი** - II level დონის აკრედიტაცია;
6. **სკოლამდელი აღზრდა** –II, III დონის აკრედიტაცია;
7. **ფსიქოლოგია** –II, III დონის აკრედიტაცია;
8. **ფიზ. აღზრდა** – IV დონის აკრედიტაცია;
9. **ფიზიკური რეაბილიტაცია** – III, IV დონის აკრედიტაცია;
10. **სამართალი** - III დონის აკრედიტაცია;
11. **ჟურნალისტიკა** – III, IV დონის აკრედიტაცია;
12. **ინგლისური ენა** - II, III დონის აკრედიტაცია;
13. **პროგრამული ინჟინერია** - III დონის აკრედიტაცია.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / განათლების დადასტურების სამსახური
სამსახურის უფროსი
მაისურაძე ანა

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ. №1, ტელ: (+995 32) 2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone: (+995 32) 2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge

**გაზაფხულია 63-ე ბაგა-ბაღში!**

# ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა – კარგი კვება და აღმზრდელის ნანა...



**გაზაფხულის** თბილ ამინდში ცეროდენების ხალისიანი ჟრიამული ისმოდა თბილისის 63-ე ბაგა-ბაღში. აქ ცუგრუმელები გარეთ გამოფენილიყვნენ, ეზოში ლაღად ნავარდობდნენ და ატრაქციონებზე გატაცებით ერთობოდნენ.

თბილისის 63-ე ბაგა-ბაღს ამშვენებს დიდი და ლამაზი ეზო, სადაც უხვადაა წარმოდგენილი დიდი მწვანე ნარგავები, წიწვოვანი ხეები, ყვავილები, საქანელები და კარუსელები, რაც პატარებისთვის ზღაპრული სამყაროა.

ბაღის შენობაში შესვლისას თვალი გაგინათდებათ, აქ მაშინვე იგრძნობთ სისუფთავეს, წესრიგს. დერეფნები და ოთახები გაფორმებულია ნაირნაირი თვალსაჩინოებებით, სათამაშოებით, ყვავილებითა და პატარების შემოქმედებით. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით ინფრასტრუქტურა და სველი წერტილები მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ერთი სიტყვით, ევროპული სტანდარტების დონეზეა.

ბაღისთვის მთავარი პრიორიტეტია: სწორად წარმართონ აღმზრდელობითი პროცესი და პატარებისთვის შექმნან ჯანსაღი გარემო. აქაური მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ აღსაზრდელებმა თავი კომფორტულად, მშობლიურ გარემოში იგრძნონ.

ბაღის დირექტორი გახლავთ ახალგაზრდა, მაგრამ მეტად გამოცდილი, ენერგიული, შემოქმედი ქალბატონი **თამარ ციცქიშვილი**. ქალბატონი თამარი პროფესიით ფინანსისტი გახლავთ, ასევე, ქიმია-ბიოლოგიის სპეციალისტია. იგი ათი წელიწადია ბაღს სათავეში უდგას და ამ ხნის მანძილზე, ძალიან ბევრი რამ გააკეთა, თუმცა საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს.







ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული. ყველასთვის კომფორტული გარემოა შექმნილი და ცდილობენ პატარებს დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლონ. აქ რვა ჯგუფში სულ 352 აღსაზრდელი ფრთიანდება. ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“**. იმართება სასწავლო ხასიათის გასართობი ღონისძიებები, ღია გაკვეთილები. მაღალ მეთოდურ დონეზე ტარდება თემატური გაკვეთილები, სხვადასხვა აქტივობები, სეზონური ზეიმები.



დირექტორს აქტიურად მხარში უდგანან გამოცდილი მოადგილე **ნინო მაჭავარიანი,** საქმისმწარმოებლები: **ვენერა კიკნაძე** და **ნინო ფოფხაძე**. დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად უძლვებიან: მეთოდისტი **ევგენია მჭედლიშვილი**, მნე **ნანა ხიზამბარელი**. თავიანთ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ბაღის სხვა თანამშრომლებიც. მაგალითად, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფსიქოლოგის **მანანა მუმლაძის**, ლოგოპედების: **დალი ლაშხის, ნანა აბდუშელიშვილის** და სპეც. პედაგოგის **მარიამ მუხიგულაშვილის** ნაყოფიერი, თავდაუზოგავი შრომა. ცუგრუმელების ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე ბევრს ზრუნავს ექთანი **შორენა ბენდელიანი.**

პატარებს მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **ლალი კვაჭაძე, თამარ უდუმაშვილი, ირინა ქურხაშვილი, ნინელი კვაჭაძე, თამარ ბასილაძე, ქეთევან დემეტრაძე, მანანა სარიშვილი, ლალი ნაგლიაშვილი, ეკატერინე რეხვიაშვილი** და **ნათია სართანია.**

მათ მხარს უმშვენებენ თანაშემწეები: **ნანა ცუცქირიძე, ქეთევან ღურწკაია, ხათუნა დევდარიანი, მზია მენთეშაშვილი, იამზე წურწუმია, ნინო სულაბერიძე, ხათუნა სამაშვილი** და **ნანა ხუნაშვილი**.





ცუგრუმელები გემრიელი კერძებით განებივრებული არიან, რომელსაც მათ უმზადებს მზარეული **ხათუნა ხუჯაძე** და მისი დამხმარეები: **მაგული ალადაშვილი** და **ბელა ჟორჟოლიანი**.

აღსაზრდელების ცხოვრებას კიდევ უფრო ალამაზებენ მუსიკის პედაგოგები: **მარინა პაიჭაძე** და **ლიანა ქობესაშვილი**, ასევე, ცეკვის მასწავლებელი **ნატალი ჯალიაშვილი**.

დირექტორი კმაყოფილია ბაღის ტექნიკური პერსონალის საქმიანობით. ესენია: **ინგა ზაქარაია, ნათელა დათუაშვილი, თინა ხვედელიძე, თეიმურაზ დავლიანიძე, კახაბერ მამუჩიშვილი, ვასილ დავლიანიძე, მარინა ტუაევი, კობა ბიწაძე, ხათუნა როსტომაშვილი, ნანა უდუმაშვილი** და **თამარ კერესელიძე**.

აღსანიშნავია, რომ უბნის მაცხოვრებლები და მშობლები კმაყოფილი არიან 63-ე ბაგა-ბაღის მუშაობით და საჯაროდ უხდიან მადლობას ბაღის თითოეულ თანამშრომელს. ასევე მადლობას უხდიან ქალაქის მერიას და რაიონის გამგეობას თანადგომა-დახმარებისათვის.

8 მარტი და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია თქვენთვის, 63-ე ბაგა-ბაღელებო!

**მზია გოგოძე**

**გამარჯობათ, თბილისის 11-ე ბაგა-ბაღის ცეროდენებო!**

# გულს გაგვიხარებს გაზაფხული, ია და კაჩუსულები

**ცხოველთა** კვებითი ჯაჭვი თაგუნათი იწყება და ვეფხვით მთავრდება. მართალია, ეს ვეფხვი უფრო დიდ თაგვსა ჰგავს, მაგრამ მერე რა? მოვა დრო და ამ პლასტელინის ფიგურების პატარა ხელებით გამომძერწველმა, შეიძლება, შედევრები შექმნას.

მე-11 ბაგა-ბაღის მეთოდისტს **ლეილა ლალიაშვილს** დავყავარ დაწკრიალებულ დერეფნებში. ეს დამლაგებლების: ქრისტინე ჯაილავას, დარეჯან სამხარაძის, თეა მაჭავარიანის, საბინა ბაირამოვას, გულნაზ ნასიბოვას, თამარ ჯალაღონიას დამსახურებაა. გატაცებით ვათვალიერებ აღმზრდელებისა და ბავშვების ერთობლივ ნახელავებს. რთული აპლიკაციები, თექაზე ნამუშევრები



აღმზრდელთა შემოქმედება, მაგრამ როგორი მონდომებითა და ფაცი-ფუცით ეხმარებიან მათ პატარები, ერთად არჩევენ ფიგურებს, ფერებს... აგერ, ის გირჩები და უცნაურად დაგრეხილი ტოტები ტყის ზღაპრულ ქმნილებებად უქცევიათ.

ბაგა-ბაღი **„პატარა ხელების“** საქალაქო კონკურსში აპირებს მონაწილეობას. დირექტორს, ქალბატონ **ქეთო გოლიაძეს** ვკითხე, კონკურსზე ამ ნამუშევრებს გაიტანთ-მეთქი. ღიმილით გადახედეს ერთმანეთს დირექტორმა და მეთოდისტმა და მომიგეს, არა, რაღაც გრანდიოზულს ვაპირებთო... ბაგა-ბაღს აშკარად ეტყობა გამოცდილი, მცოდნე, გულანთებული ხელმძღვანელის ხელი.

**ქეთო გოლიაძემ** საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე – 1974 წელს დაიწყო მუშაობა სკოლამდელთა აღზრდის სისტემაში. პარალელურად თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. 2007 წლიდან კი ამ ბაგა-ბაღს უდგას სათავეში.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვს გამოცდილ პედაგოგს, დირექტორის მოადგილეს ქალბატონ **შუქურა კვიციანს**. პედაგოგიურ კოლექტივთან ბევრს მუშაობს ერუდირებული მეთოდისტი **ლეილა ლალიაშვილი**, რომლის ხელმძღვანელობითაც აღმზრდელები: **ქეთევან კობალავა**, **ლია უშიკიშვილი**, **ლალი კილაძე**, **მანანა აბრამიძე**, **ქრისტინე ხუხუა**, **ეკატერინე კასაბური**, **თამილა გურაშვილი**, **ნანა ოდიშარია**, **ელზა მოდებაძე**, **ნანა ლიქოკელი**, **აზა პეტრიაშვილი**, **ნონა დავითაშვილი**, **მაია გორგაძე**, **ქეთევან ხაინდრავა**, **ქეთევან გოგიჩაიშვილი**, **ლელა ჟორჟიკაშვილი**, მათი თანაშემწეები: **მარინე თოფჩიშვილი**, **თინა აგლაძე**, **მაია მონიავა**, **ფიქრია ბერუაშვილი**, **ციცინო მაჭავარიანი**, **დიანა მერებაშვილი**, **ეკა ყიფიანი**, **მარიამ ბუჩუკური** წარმატებით ახორციელებენ **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას. მათი დამსახურებაა, რომ ბაგა-ბაღში გატარებული ყოველი დღე ბავშვებისათვის სახალისო, სიახლით განსხვავებული და დასამახსოვრებელია. პატარების ჟრიამული და ლაღი სიცილ-კისკისი სიამით უვსებს გულს აღმზრდელებს. მეთოდურად გამართულ, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით წარმართული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი იმის მყარ ბალავარს ყრის, რაზეც ბავშვების ჯანმრთელობა, აზროვნების მოქნილობა და სისხარტე იგება.

ცხადია, ამაში ძალზე მნიშვნელოვანია დირექციის, მეთოდისტის, აღმზრდელ-თანაშემწეების, ფსიქოლოგის, ლოგოპედის, ექთნის გეგმაზომიერი, მიზანმიმართული ერთობლივი მუშაობა.

ფსიქოლოგი **ლია ჯავშანაშვილი**, ლოგოპედი **დალი ფუტკარაძე**, ექთანი **რიმა სულიაშვილი** ჯგუფურად და ინდივიდუალურადაც მუშაობენ პატარებთან. იციან, რომელ პატარას როგორი მიდგომა სჭირდება.

ყოველი ბავშვი საჭიროებს ჩვენს, უფროსთა განსაკუთრებულ ყურადღებას. მე-11 ბაგა-ბაღში სწორედ ასე სჯერათ და ასეც ირჯებიან.

სპეციალური ყურადღება ვისაც სჭირდებათ, მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სპეციალური პედაგოგი **ნათელა ოდიშარია**.

პატარების ესთეტიკური აღზრდისათვის ბევრს ზრუნავენ მუსიკისა და ცეკვის მასწავლებლები: **გულნაზ ბერიაშვილი** და **ნათელა დინოშვილი**. ისინი ცდილობენ, ისე შეარჩიონ პროგრამა, რომ ბავშვებისთვის გაკვეთილები სახალისო იყოს. ამას მოძრავი თამაშებიც ერთვის, რაც მოქნილობას, სისხარტეს სძენს პატარებს.



ბაგა-ბაღში შესვლისთანავე კერძების მადისაღმძვრელი სურნელი შევიგრძენი. ეს მზარეულ **ირინე ფირიაშვილისა** და მისი თანაშემწის **ნანი შენგელიას** კულინარული ხელოვნების დასტურია.



აქ კვების საკითხი სანიმუშოდ არის გადაწყვეტილი: ხორცეული, თევზეული, რძის პროდუქტები, ხილი, ტკბილეული... ეს მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (დირექტორი – **თემურ თორდინავა**) დამსახურებაა.

დირექტორი, მთელი კოლექტივი, ცეროდენების მშობლები ემადლიერებიან მერიასაც და სააგენტოსაც. ისინი ოპერატიულად განიხილავენ და წყვეტენ ყოველ პრობლემას. აგერ, ახლაც მერია ეზოს ურემონტებს ბაგა-ბაღს, მწვანე საფარს აგებს, სათამაშოებს ამონტაჟებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ჰიგიენურ გარემოში აღზრდას. დამლაგებლებთან ერთად, ეს მეეზოვის **მზია მსტოიანის**, მრეცხავების: **თეონა თოდაძის**, **მანანა დათუნაშვილის**, **ნანი შენგელიას** დამსახურებაა.

ბაგა-ბაღის წარმატება-კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვთ: საქმისმწარმოებელ **შორენა ჭაბუკაშვილს**, მნეს **ნინო გაგლოშვილს**, დარაჯებს: **ბესიკ თევდორაძესა** და **ზურაბ სანაძეს**, მუშას **ბადრი ტაბატაძეს**. დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მათ საქმიანობას.

ბავშვების სკოლისთვის მომზადების პროგრამით იმართება დილის შეხვედრები, თემატური საღამოები. პატარები ისმენენ მოთხრობებს, ლექსებს, შემდეგ კი თავის აზრს გამოთქვამენ, სვამენ შეკითხვებს, მსჯელობენ, კამათობენ... ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ცუგრუმელა გავიცანი. აქ ყველა ნიჭიერია, მაგრამ ხანმოკლე სტუმრობისას ყველას როგორ გავიცნობდი? ზოგიერთმა ნიჭიერმა, სკოლისთვის საუცხოოდ მომზადებულმა ცეროდენამ ძალიან დამამახსოვრა თავი. აი, თვალხატულა გოგო-ბიჭები: **იოანე გზირიშვილი**, **ალექსანდრე კაპანაძე**, **ანასტასია ჯავშანაშვილი**, **ბექა ჩხიტუნიძე**, **თამარ უშიკიშვილი**, **მაშო აბულაძე**, **თეკლა ფირცხალია**, **საბა ჩოჩია**, **თათული რუხაძე**, **გელა** და **ელენე ლომიძეები**, **კატო ყვატეიშვილი**... კიდევ ვინ? სხვებს მომავალში გავიცნობ და მათზეც მოგითხრობ, მკითხველო.

ბევრ მათგანს სკოლებშიც შევხვდები, სადაც ისინი კარგი სწავლით და ზრდილობით ასახელებენ თავიანთ აღმზრდელებს, მშობლიურ ბაღს.

მე-11 ბაგა-ბაღელებო, დედის დღეს და გაზაფხულის მოსვლის დიდ სიხარულს გილოცავთ!



**კოტე სარალიძე**

ღმერთმა დაგლოცოთ, მე-8 ბაგა-ბაღელებო!

# გაზაფხულდა – ჩვენს ბაღნარში თავს იწონებს ნაზი ია



**გაზაფხულის** ზეიმებისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან მე-8 ბაგა ბაღში. ამ საბავშვო დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. აქაური აღსაზრდელები არაერთხელ გამოსულან ფართო საზოგადოების წინაშე და მაყურებელთა დიდი სიმპათიაც დაუმსახურებიათ. **„არტ ჰოლში"** გამართულ საახალწლო ღონისძიებაზე კი, ცუგრუმელებმა ცეკვითა და სიმღერით ბაღი ასახელეს, სიგელებიც დაიმსახურეს.



ბაღის წარმატებისთვის თავს არ ზოგავს დირექტორი **ჟუჟუნა (ფისო) სარსევანიძე-ჩაჩიბაია,** რომელიც გამოირჩევა დიდი პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით. იგი უკვე 9 წელიწადია შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

მე-8- ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა წესრიგით და მაღალკვალიფიციური კადრებით, რაც დღესაც გრძელდება. აქ შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე, წესრიგი. ეზო მოწესრიგებულია და ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** დახმარებით, მოწესრიგდა სამზარეულო, ბაღისთვის შეიძინეს მაღალი ხარისხის ჭურჭელი, სათამაშოები, სახელმძღვანელოები და ა.შ. სამომავლოდ კი, მნიშვნელოვანი სიახლეებია დაგეგმილი.

დირექტორი და ბაღის მთელი კოლექტივი მუხლჩაუხრელად ზრუნავს ბაღის კეთილდღეობასა და პატარებისათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. აქ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი სათანადოდ წარიმართოს. ამჟამად, ბაღში 7 ჯგუფია და 255 აღსაზრდელი ფრთიანდება. ბაღში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, ზეიმები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **მარიკა ხანთაძი,** მეთოდისტის **ცისანა საყვარელიძის** და სამეურნეო ნაწილის გამგის **ელზა მელიქიშვილის** თავდაუზოგავი შრომა. ასევე, ქებას მადლობას იმსახურებენ ფსიქოლოგი **მანანა მაისურაძე**, ლოგოპედი **მაია ზანდუკელი**, საქმისმწარმოებელი **მზია არაბული** და ჰიგიენის კოორდინატორი **ირინე ყურაშვილი**.



პატარების გამხიარულებაზე ზრუნავს და მათ ხელოვნებას აზიარებს მუსიკის მასწავლებელი **ქეთევან ჩხაიძე.**

აღსანიშნავია, რომ მე-8 ბაღის თანამშრომლები ერთ გუნდად არიან შეკრულნი და დღედაღამ ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდაზე.



კვებას რაც შეეხება, როგორც სხვა ბაგა-ბაღებში, აქაც შესანიშნავია: დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული და მისი დამხმარეები: **მარინე ზილინაშვილი, ლიანა ივანიშვილი** და **გვანცა პეტროვა**.



ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ და მათ სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდელები: **ირმა ნარიმანიძე, მეგი გოგაშვილი, მაია მანჯგალაძე, ნანი კენკებაშვილი, ხათუნა ჭინჭარაული, ზოია ევანისელი, ნატალია დაუთაშვილი, ლია გოგოლაძე, ნანა ჩლაიძე, ასმათ გიუნაშვილი, ნინო შიუკაშვილი, ფიქრია ოქრიაშვილი** და **მარინე მერებაშვილი**.

მათ მხარში მონდომებით უდგანან თანაშემწეები: **იზა ცაბაძე, რუსუდან ხორბალაძე, ზეინაბ თამაზაშვილი, დალი ფაილოძე, ირმა ბურდული, ნონა შეროზია** და **მზია აკოფაშვილი.**



მე-8 ბაგა-ბაღი პოპულარული და მიმზიდველი რომ არის, ეს ყველაფერი ბაღის თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს: **გელა ჩაჩიბაია, რუიზანი სიხუაშვილი, ნათელა ჯახაშვილი, ნათია ედიშერაშვილი, ნატალია ვარსემაშვილი, ბელა წიკლაური, თინა მუქერია, გოგა თელია** და **ქეთინო ბერიძე** მთელი გატაცებით მუშაობენ.

აღსანიშნავია, რომ ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს გამორჩეული და სანიმუშო. აქაური მესვეურები ყველაფერს აკეთებენ პატარებისთვის ზღაპრული გარემოს შესაქმნელად.

**დედის დღეს და გაზაფხულს გილოცავთ, მე-8 ბაგა-ბაღელებო!**

**მზია გოგოძე**





## საქართველოდან – იუნესკოსა და National Geographic–ში

# ახალგაზრდა ფოტოხელოვანის საერთაშორისო აღიარება

**ეგზიუპერის** თქმით, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ, განა, ბევრს მოგვეძმადლა ბავშვობის დროინდელი ოცნებების ხორცშესხმა?

**ნათია წულეისკირი** ერთი იმათთაგანია, ვინც ეს შეძლო. ყმაწვილობიდან გაიტაცა



ფოტოგრაფირებამ. განსაკუთრებით ბუნება აინტერესებდა. იდუმალი და გოროზი, მშვიდი და ბობოქარი, უმშვენიერესი და შიშის მომგვრელი. ბუნება თავისთავადი, პირველსაწყისი, ბუნება და ადამიანი, ადამიანი – ბუნებაში.

ნიჭმა და მონდომებამ ნათია თანდათან ნამდვილ ფოტოხელოვნად ჩამოაყალიბა. 2012 წელს დაამთავრა **„ფოტოლაიფ სტუდიის“** სასერთიფიკაციო კურსები. ამან კიდევ უფრო დახვეწა ახალგაზრდა ხელოვანის ოსტატობა და თავად დააარსა ფოტოსტუდია **„ფოტო-ლაბი“**, სადაც ახალგაზრდა ფოტოხელოვანები გაერთიანდნენ. იმართებოდა სემინარები, ფოტოსესიები...

ნათიამ ორგანიზატორული და პედაგოგიური ნიჭიც გამოავლინა. წარმატებებმაც არ დაახანა – ნათია რესპუბლიკურ ასპარეზზე გავიდა: მის ფოტოგამოფენებს მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა და იგი საქართველოს წამყვან ფოტოხელოვანთა რიგებში ჩადგა.

წარმატებებს თავბრუ არ დაუხვევია. ისედაც ფაქიზი სული ბუნებასთან მუდმივმა ურთიერთობამ კიდევ უფრო გაუფაქიზა – მოყვასის სატკივარი თავისად მიაჩნდა.

სწორედ ასეთი ხედვის, სხვათა ტკივილის გათავისების დასტურია მისი საქველმოქმედო გამოფენები: 2013 წელს რუსთაველის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში გამართული მისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული თანხა უნარშეზღუდული ბავშვებისთვის გადაირიცხა. 2014 წელს გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებელ სკოლაში გამართული ასეთივე ღონისძიებიდან შემოსული თანხაც უნარშეზღუდულთ მოხმარდა.

დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის რექტორი, პროფესორი **ნანა ჯიქია**: „აკადემიის ხელოვნების სასწავლო ცენტრს **ნათია წულეისკირი** ხელმძღვანელობდა. ბავშვები ეუფლებოდნენ ფოტოგრაფიას და თექაზე მუშაობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ნათია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასწავლიდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი რესოციალიზაციისთვის... ნათიას ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული სოლიდური თანხა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჩხერის დღის ცენტრსა და ითხვისის მონასტრის რეაბილიტაციისთვის გადაირიცხა.






**ნათია წულეისკირს** ქართული საზოგადოებრიობა პერსპექტიულ, ძალზე ნიჭიერ ფოტოხელოვანად იცნობს. გვჯერა, რომ ის ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც წარმატებულიც სამშობლოშია“.

ერთ-ერთი პრესტიჟული გალერეა **„ვერნისაჟის“** დამფუძნებელი და დირექტორი **ზაირა ბერელიძე**: „ნათია საქველმოქმედო ღონისძიებაზე გავიცანი. ძალზე დავინტერესდი მისი ფოტონამუშევრებით და თანამშრომლობა შევთავაზე. მის ნამუშევრებს ბევრი ჩვენი თანამემამულე და უცხოელი მოუხიბლავს. ნათია ძალზე პოპულარულია, გამოირჩევა პროფესიონალიზმით. მის გამოფენებს ყოველთვის ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს“.



ცნობილი ფოტოხელოვანი, პირველი ქართველი ფოტოგრაფის **ალექსანდრე როინიშვილის** სახელობის პრიზის მფლობელი **ჯემალ კასრაძე**: „ნათიას ნამუშევრები უაღრესად ორიგინალური ხედვით, შუქ-ჩრდილების, ფერების განსაკუთრებული შეგრძნებითა და უშუალობით გამოირჩევა. მჯერა, ახალგაზრდა ხელოვანი კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს“.

ნათიამ უკვე მიაღწია ყოველი ფიტოხელოვანისათვის სანატრელ წარმატებებს: 2014 წლის **„იუნესკოს“** კონკურსის გამარჯვებულია. მან სათანადო სერთიფიკატი მიიღო, ხოლო მისი რამდენიმე ნამუშევარი **„იუნესკოს“** სპეციალურ ფოტოალბომში გამოქვეყნდა. იმავე წელს ნიჭიერი შემოქმედის ფოტომ ჟურნალ **„National Geographic“**-ის მიერ გამართულ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა და ჟურნალის მაისის ნომერში დაისტამბა. ამ გამოცემას 60 მილიონი მკითხველი ჰყავს.

**ნათია წულეისკირი** კიდევ მრავალი წარმატებით გაგვახარებს საერთაშორისო ასპარეზზეც.

**კონსტანტინე გურგენიძე**

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**გაზეთი „სახალხო განათლება+“**-ის გამოსაწერად საჭიროა, გადარიცხოთ წლიურად 20 ლარი (ნახევარი წლით – 10 ლარი) შემდეგ ანგარიშზე:

ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი **TBCGBGE 22**

მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: „სახალხო განათლება+“

ა/**a GE 94TB7249236080100007**

ს/კ 402010587

ელფოსტა: **saxgani@gmail.com**

გამოაგზავნეთ თქვენი მისამართი, სადაც უნდა მოგეწოდოთ გაზეთი.

## გასწორება

ჩვენი გაზეთის მე-4 ნომერში (22.02.2017) თბილისის 176-ე საჯარო სკოლის დირექტორის გვარი დაიბეჭდა შეცდომით, უნდა ყოფილიყო **ეკა გაბინაშვილი**. ასევე, სტატიაში გამოგვრჩა სკოლის საინფორმაციო მენეჯერი **რუსუდან ანდღულაძე.**

რედაქცია ბოდიშს გიხდით.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 5 (4544)
8 მარტი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113